ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა
და ეთიკის კომისია

დასკვნა:**დ05. 3723265001**
თარიღი:**22/09/2023**

დ ა ს კ ვ ნ ა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ- პროექტზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის (შემდგომში „სამოქმედო გეგმა“) გეგმის“ დამტკიცების შესახებ“- პროექტი და დაადგინა :

1. განხილვა-დამტკიცების მიზნით წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნული პროექტის დამუშავების საფუძველია ევროკავშრის ინიციატივა - მერების შეთანხმება. აღნიშნული ინიციატივას ოზურგეთის მუნიციპალიტეტი შეუერთდა 2017 წელს.

2 .ზემოთ აღნიშნული ინიციატივის საფუძველზე მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა, რითაც განისაზღვრა კლიმატის ცვლილების დასაძლევად 2030 წლამდე განსახორციელებელი ადგილობრივი აქტივობები.

3. სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მუნიპალიტეტის ტერიტორიაზე და საცხოვრებელი პირობების მნიშვნელოვან გაუმჯობესებას.ამასთან ერთად „სამოქმედო გეგმით“ განსაზღვრული ღონისძიებების სრულფასოვან განხორციელებას თან სდევს სხვა თანასარგებელიც, რომლებიც აისახება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

4. კომისიამ დაადგინა: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა“ განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე და რეკომენდირებულ იქნას დასამტკიცებლად საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი